Childhood Cancer International 30TH ANNIVERSARY

SOCIÉTÉ INTERNATIONALE D'ONCOLOGIE PÉDIATRIQUE
SIOP
INTERNATIONAL SOCIETY OF PAEDIATRIC ONCOLOGY

ICCD International Childhood Cancer Day

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა საერთაშორისო დღე (ICCD)

2024 წელი

სამოქმედო ინსტრუმენტების ნაკრები დაგეხმარებათ სამწლიანი გლობალური კამპანიის პირველ, 2024 წელს მის გააზრებასა და განხორციელებაში.

შემდეგ ეტაპზე, 2025-2026 წლებში დამხმარე ინსტრუმენტების ნაკრები კიდევ უფრო განივრცობა

სარჩევი

1. ICCD-ის შესახებ 4

2. ორგანიზატორი 5

3. პარტნიორი 6

4. ICCD 2024-2026: 3 წლიანი კონცეფცია 7

5. ICCD 2024: გამოწვევების გამოვლენა 8

   a. მიზანი და ამოცანები 8

   b. როგორ მივიღოთ მონაწილეობა 9

   c. მედია პაკეტი 10

6. გამოყენების ინსტრუქციები და პასუხისმგებლობის თავიდან არიდება 11

7. □ღიარება 12

8. მადლობა და საკონტაქტო ინფორმაცია 13

1. ICCD-ის შესახებ

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა საერთაშორისო დღე (ICCD), რომელიც 15 თებერვალს აღინიშნება, არის გლობალური ერთობლივი კამპანია, იგი მიზნად ისახავს ბავშვთა სიმსივნური დაავადებებისა და მისი უნიკალური გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ამავე დროს, ეს არის მთელს მსოფლიოში სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდების, გამოჯანმრთელებული პაციენტების, მათი მშობლების მხარდამჭერი კამპანია.

400000+

ბავშვი ავადდება სხვადასხვა სახის სიმსივნით მთელს მსოფლიოში. მათგან ნახევარი არ არის დიაგნოსტირებული

20%

მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ბავშვების 20%-ის განკურნება ვერ ხერხდება

70%

დაბალშემოსავლიან ქვეყნებში განკურნების შანსი მცირეა

2. ორგანიზატორი

რას წარმოადგენს CCI

მშობელთა საერთაშორისო კონფედერაცია (CCI) დაარსდა 1994 წელს. იგი არის არაკომერციული, გლობალური ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს 5 კონტინენტზე აერთიანებს 90 ქვეყნის 180-ზე მეტ მშობელთა ორგანიზაციას, გამოჯანმრთელებული ახალგაზრდების ასოციაციას, მხარდამჭერთა ჯგუფებს.

რისი მიღწევა გვინდა?

.მშობელთა კონფედერაციას სურს, რომ ყველამ, ჯანდაცვის პროფესიონალებმა, პოლიტიკურმა ლიდერებმა, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა, დაინტერესებულმა მხარეებმა, ფართო საზოგადოებამ დაინახოს და სწორად შეაფასოს ბავშვთა ონკოლოგიაში არსებული გამოწვევები. ჩვენი სურვილია ყველა ბავშვს ჰქონდეს თანაბარი წვდომა საუკეთესო მოვლასა და მკურნალობაზე.

"მე მოვუწოდებ ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასა და ფართო საზოგადოებას აქტიური მონაწილეობა მიიღოს წლევანდელ კამპანიაში, რომლის დევიზიც არის: "მოდით გავაერთიანოთ ძალები,რათა გამოვავლინოთ მთელს მსოფლიოში არსებული მკურნალობის არათანაბარი პირობები და გამოწვევები.

როდნი ვონგი

CCI პრეზიდენტი

3. პარტნიორი

SOCIÉTÉ INTERNATIONALE D'ONCOLOGIE PÉDIATRIQUE
SIOP
INTERNATIONAL SOCIETY OF PAEDIATRIC ONCOLOGY

რას წარმოადგენ SIOP?

პედიატრიული ონკოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება (SIOP) დაარსდა 1969 წლის 6 ნოემბერს, პარიზის გუსტავ-რუსის ინსტიტუტის სპეციალისტთა მცირე ჯგუფის მიერ, რომლის მიზანი იყო ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისა და მოზარდების საჭიროებების შესწავლა და მათზე ზრუნვა. დროთა განმავლობაში ეს მიზანი გაფართოვდა და დღეს SIOP-ი ახორციელებს ფუნდამენტურ კვლევებს. კლინიკურ კვლევებში ჩართულნი არიან ექიმები, ექთნები, ჯანდაცვის პროფესიონალები,მშობლები. შეზღუდული რესურსების მქონე რეგიონებში, მკურალობის გაუმჯობესების მიზნით, SIOP-ი ხელს უწყობს სასწავლო საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

SIOP-ი არის ერთადერთი გლობალური მულტიდისციპლინური საზოგადოება, რომლის ძალისხმევა და საქმიანობა მთლიანად არის მოცული ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისა და მოზარდების პრობლემების გადაჭრით. SIOP-ს მთელს მსოფლიოში 3000 -ზე მეტი წევრი ჰყავს. მისი მთავარი გზავნილია: #განვკურნოთ რაც შეიძლება მეტი, ვიზრუნოთ ყველა ბავშვზე .

„ICCD არის უნიკალური პლატფორმა ფართო საზოგადოების, ჯანდაცვის პროფესიონალების, გადაწყვეტილების მიმღები პირების, მედიის ერთი საერთო მიზნის ირგვლივ გასაერთიანებლად. ჩვენი მისიაა ბავშვთა ონკოლოგიური დაავადებების მიმართ ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება. ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით გადავჭრით მრავალ პრობლემას და შევეცდებით, მიუხედავად დიდი გამოწვევებისა, ეს დაავადება გლობალურად განკურნებადი გახდეს".

დოქტორი გილერმო ლუის ჩანტადა

SIOP-ის პრეზიდენტი

4. ICCD 2024 - 2026 წწ

3 წლიანი კამპანია

მშობელთა კონფედერაციამ (CCI) წამოიწყო დიდი ცვლილებების მომტანი სამწლიანი კამპანია, რომელიც ფოკუსირებულია მთელს მსოფლიოში სიმსივნით დაავადებული ბავშვების, გამოჯანმრთელებული პაციენტების, ჯანდაცვის პროფესიონალებისა და მკვლევრების წინაშე არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გააზრებასა და მოგვარებაზე. კამპანია დაყოფილია ცალკეულ განვითარებად ეტაპად. თითოეული ეტაპი ხელს შეუწყობს ყოვლისმომცველი სამწლიანი კამპანიის განხორციელებას. ამ კამპანიის სიძლიერე მის ადაპტირებაშია, თითოეულ რეგიონს შესაძლებლობა ეძლევა კამპანია თავის უნიკალურ საჭიროებებს მოარგოს. სამოქმედო მისია ყველასთვის საერთოა, კონკრეტული მიზნები და ამოცანები კი იცვლება, რაც საშუალებას აძლევს გლობალურ კამპანიას იყოს დინამიკური და მოქნილი.

გლობალური კამპანიის სამწლიანი ჩარჩო უზრუნველყოფს მასში მონაწილე ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისა თუ სუბიქტის ინფორმირებულობას, ერთობლივი მოქმედებისა და პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას, სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდების მკურნალობისა და მოვლისათვის თანაბარი პირობების გრძელვადიან შესაძლებლობას.

წელი 1: გამოწვევების გამოვლენა

კამპანიის პირველ, 2024 წელს ყურადღება დაეთმობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ბავშვთა ონკოლოგიაში არსებულ გამოწვევებს CCI და SIOP-ი მოუწოდებს და საშუალებას აძლევს თითოეულ წევრ ორგანიზაციას და ფართო საზოგადოებას ისაუბროს და გაანალიზოს თავიანთ რეგიონებში (ქვეყნებში) მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე არსებული ხარვეზები. ციფრული ღია ბარათებით გაგვიზიაროს საკუთარი გამოცდილება და იდეები, აღწეროს მათ წინაშე არსებული დაბრკოლებები.

წელი 2: შთამაგონებელი ქმედება

გლობალური კამპანიის მეორე ეტაპი ყურადღებას ამახვილებს თითოეული მონაწილის ვალდებულებებსა და პრაქტიკულ გადაწყვეტილებებზე. კამპანიის ამ ეტაპზე მთავარი აქცენტი გაკეთდება იმ ერთობლივ ძალისხმევასა და ინიციატივებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა რეგიონში გამოვლენილი ხარვეზების, ბარიერების, სიმსივნით დაავადებული ბავშვების მკურნალობის არათანაბარი პირობების დაძლევას.

წელი 3: ზემოქმედების დემონსტრირება

ბოლო - 2026 წელს, კამპანია სრულდება გლობალური საზოგადოების მიერ ერთობლივი ძალისხმევით მიღწეული გამოწვევებისა და მკურნალობის არათანაბარი პირობების მნიშვნელოვნად შემცირებით, წარმატებული ისტორიებისა და კამპანიის თითოეულ ეტაპზე მიღწეული პოზიტიური ცვლილებების დემონსტრირებით. კამპანიის ბოლო ეტაპზე ჩვენ ხაზგასმით მივუთითებთ თანაბარი ხელმისაწვდომობის მისაღწევად ერთობლივი, თავდადებული ქმედებების მნიშვნელობაზე.

5. ICCD 2024: გამოწვევების გამოვლენა

კამპანიის მიზანი

რეგიონულ დონეზე ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისა და მოზარდების მკურნალობის არათანაბარი პირობებისა და გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

სამიზნე აუდიტორია

პაციენტები, მშობლები, განკურნებული პაციენტების წარმომადგენლები, CCI და SIOP-ის წევრები, ჯანდაცვის პროფესიონალები, პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიმღები პირები, ისევე როგორც ფართო საზოგადოება.

როგორ?

ჩვენ ვიწყებთ კამანიას პლატფორმაზე: www.iccd.care ინტერაქტიული რუკით, სადაც მონაწილეებს შეუძლიათ დატოვონ ციფრული საფოსტო ბარათი და ამით წარმოაჩინონ საკუთარ ქვეყანაში არსებული გამოწვევები

რას გვინდა რომ მივაღწიოთ ?

კამპანიის დასასრულს გვსურს გვქონდეს რუკა, რომელიც ასახავს გამოწვევებს მთელს მსოფლიოში. მომავალ წელს გამოწვევების დასაძლევად ჩვენ დავამატებთ საჭირო გადაწყვეტილებებისა და ქმედებების ამსახველ ინფორმაციას.

როგორ მივიღოთ მონაწილეობა?

□□□□□ - □□□□□

1. ეწვიეთ პლატფორმას

ეწვიეთ www.iccd.care (ან დაასკანირეთ QR კოდი)

2. გაგზავნეთ ციფრული საფოსტო ბარათი

დაწერეთ თქვენს რეგიონში არსებულ პრობლემებზე, გამოწვევებზე და გაგვიზიარეთ.

3. გაავრცელეთ

უთხარით თქვენს თანამოაზრეებსა და ფართო საზოგადოებას კამპანიის შესახებ. გააზიარეთ პოსტები სოციალურ მედიაში (მომზადებული პოსტები გელოდებათ მედია პაკეტში. გამოიყენეთ #ICCD2024 სიტყვის გასავრცელებლად.

4. ადვოკატი

გამოიყენეთ პრესრელიზი მედია ნაკრებიდან, რათა თქვენი ხმა გააგონოთ პოლიტიკის შემქმნელებს და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს თქვენს ქვეყანაში/რეგიონში.

მედია პაკეტი

ინსტრუმენტთა ნაკრები (თარგმანით)

სამუშაო ინსტრუმენტთა ნაკრები ითარგმნა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 6 ოფიციალურ ენაზე: არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური.

სოციალური მედიის პოსტები

სიტყვის გასავრცელებლად, ჩვენ მოვამზადებთ სოციალურ მედიაში პოსტებს წარწერებით (თარგმნილია ჯანმო-ს 6 ენაზე).

პრეს - რელიზი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 6 ენაზე თარგმნილი პრესრელიზი 15 თებერვლამდე მომზადდება. გამოიყენეთ ეს პრესრელიზი, რათა ხმა მიაწვდინოთ თქვენს ადგილობრივ მედიას და პოლიტიკის შემქმნელებს.

გრაფიკული სიმბოლო

იპოვეთ აქ ისეთი გრაფიკული სიმბოლოები, როგორიცაა ICCD, CCI და SIOP ლოგოები.

იპოვეთ ყველა მასალა აქ

დამატებითი ენები: თუ გსურთ თვენს მშობლიურ ენაზე ითარგმნოს CCI-ის მიერ მოწოდებული Toolkit , ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ ავტომატური თარგმანი, რომელიც თქვენ უნდა შეამოწმოთ და დაადასტუროთ. დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: office@ccieurope.eu. ნებისმიერი დამატებით დამტკიცებული თარგმანი აიტვირთება ზემოთ მოცემულ ბმულზე.

6. გამოყენების ინსტრუქციები

გაიდლაინები

კამპანიის საავტორო უფლება ეკუთვნის Childhood Cancer International-ს (CCI). კამპანიის განხორციელებისას . შეგიძლიათ დაამატოთ თქვენი ორგანიზაციის ლოგო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის გამოიყენეთ CCI და SIOP-ის ლოგოები (მოწოდებული მედია პაკეტში)

პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება

ჩვენ ამ კამპანიისათვის უპირატესობა მივანიჭეთ ხელოვნური ინტელექტის მიერ შემუშავებული სურათების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს ბავშვებისა და მათი ოჯახების მაქსიმალურ კონფიდენციალურობას.

7. აღიარება

ძვირფასო ერთგულო მხარდამჭერებო და მოხალისეებო,

ჩვენ გულწრფელ მადლობას გიხდით ამ კამპანიაში თქვენი მხარდაჭერისათვის, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებმა და და მოზარდებმა იგრძნონ თქვენი მხარდაჭერის ძალა. ჩვენს გლობალურ CCI-სა და SIOP-ის ოჯახში გაგვიმართლა, რომ გვყავს თქვენნაირი თავდადებული ადამიანები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ და მხარს უჭერენ ამ მსოფლიო ინიციატივას.

სახელი	ორგანიზაცია
როდნი ვონგი, პრეზიდენტი ალეხანდრა მენდესი, ვიცე-პრეზიდენტი ჟოაო დე ბრაგანსა, ექსპრეზიდენტი კარლ კეიროსი, აღმასრულებელი დირექტორი	Childhood Cancer International 30TH ANNIVERSARY
ანიტა კინესბერგერი, კომიტეტის თავმჯდომარე ანნა გოერესი, კომუნიკაციის ხელმძღვანელი კარინა შნაიდერი, მმართველი დირექტორი არნელა კამერიჩი, კომუნიკაციის ოფიცერი	Childhood Cancer International EUROPE
გილერმო ჩანტადა, პრეზიდენტი რეჯინ კებუდი, გენერალური მდივანი რაშმი დალვი, ადვოკატირების ხელმძღვანელი ალან დევიდსონი, ადვოკატირების ყოფილი ხელმძღვანელი მილენა ვილაროელი, ადვოკატირების კომიტეტის წევრი სიუზან ვოლაერტი, აღმასრულებელი დირექტორი ოლგა კოზაევა,SIOPEდა SIOP, დირ. პოლიტიკის საკითხებში ნენსი ანდერსონი, მარკეტინგი & კომუნიკაციები ანელია ათანასოვა, ადმინისტრაციული კოორდინატორი	SOCIÉTÉ INTERNATIONALE D'ONCOLOGIE PÉDIATRIQUE SIOP INTERNATIONAL SOCIETY OF PAEDIATRIC ONCOLOGY

ორივე CCI და SIOP-ი, როგორც არასამთავრობო ოგანიზაცია, მჭიდროდ თანამშრომლობს WHO-სთან და მასთან ერთად დიდი წვლილი შეაქვს ბავშვთა ონკოლოგიაში არსებული გამოწვევების დაძლევაში.

გმადლობთ 2024 წლის ICCD კამპანიაში მონაწილეობისათვის

დაუკავშირდით CCI-ს

admin@cci.care
(მედია და ღონისძიების შეკითხვებისთვის)

დაუკავშირდით მაღაზიას

media@siop-online.org
(მედია და ღონისძიების შეკითხვებისთვის)

ოგვყევი

საიტი

Facebook Linkedin
X, Threads
Instagram
ვებსაიტი

Facebook Linkedin
X Instagram საიტი

Co-funded by the European Union

თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, გრანტი No. 101124938. თუმცა გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორ(ებ)ს და არ ასახავს ევროკავშირის ან ევროპის ჯანმრთელობისა და ციფრული აღმასრულებელი სააგენტოს (HaDEA) შეხედულებებს. არც ევროკავშირი და არც მიმღები ორგანო არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მათზე.